„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული
ფედერაცია

---

22 სექტემბერი 2025 წ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2011-2012 წლებში დაბადებულთა საქართველოს სარეიტინგო ჩემპიონატი 4

2025 წელი
17-18 ოქტომბერი
თბილისი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება;
- ძიუდოს მასობრიობა და პოპულარიზაცია;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2011-2012 წლებში დაბადებული ძიუდოისტები, რომელთაც შესარჩევ შეჯიბრებებში მოიპოვეს სარეიტინგო ჩემპიონატში ასპარეზობის ლიცენზია.
- შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია პირად მწვრთნელებს საკუთარი მოსწავლეების საწევრო გადასახადი, თითოეულ ძიუდოისტზე 100 (ასი) ლარი, ჩარიცხული ჰქონდეთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე და შესაბამისი სია წარმოდგენილი იყოს (ან გამოგზავნილი ელექტრონულად gjf.registr@gmail.com) ფედერაციაში. რის შემდეგაც შესაბამის ძიუდოისტებს უფლება ექნებათ მონაწილეობა მიიღონ ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

- დებულება საწევროს შესახებ
  კალენდარი
  საწევროს სარეგისტრაციო ფორმა
  საბანკო ანგარიში - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების ჩატარების პირობები, ადგილი და დრო

- კენჭისყრა ჩატარდება აწონვის შემდეგ.
- შეჯიბრება ჩატარდება 2025 წლის 17-18 ოქტომბერს თბილისში, ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 38.
- ჩამოსვლის დღე – 16 ოქტომბერი, წასვლის დღე – 19 ოქტომბერი.
- შეჯიბრების დასაწყისი – 10:00 საათი.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 3 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე;
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 10 წონით კატეგორიაში:
- -38კგ, -42კგ, -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;
- 17 ოქტომბერი: -38კგ, -42კგ, -46კგ, -50კგ, -55კგ,
- 18 ოქტომბერი: -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.

VI. აწონვა

თბილისი, ძიუდოს აკადემია. ბელიაშვილის 38.
აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების წინა დღეს.
არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. გამარჯვებულთა დაჯილდოვება

- თითოეულ წონით კატეგორიაში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან შესაბამისი ხარისხის მედლებით და სიგელებით.

VIII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
საკონტაქტო პირი – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.
ფინანსური საკითხები - ანა წიწრიაშვილი 551502244.

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- ძიუდოისტებისთვის შეჯიბრებაზე აუცილებელია თეთრი და ლურჯი ფერის კიმონოს ქონა
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ნოზაძე